ხელშეკრულება № 122

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(მომსახურების შესყიდვა)

ქ.გორი 24 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, წარმომადგენელი მისი დირექტორის **თამარ თოხაძის** (შემდგომში - „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ, **ფ/პ ვეფხვია ლომიძე პ/ნ 59001022149** (შემდგომში - „შემსრულებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 3 მუხლის 1 ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-8 მუხლის შესაბამისად, (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **CPV 63110000 - ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, კერძოდ: მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გამართულ ეროვნული დრამატურგიის VII საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მიზნით ჩასატარებელი ლიტერატურული მონო სპექტაკლის - „მე მოვალ - სიზმარი“ დეკორაციის ტრანსორტირება (მარშრუტი გორი ახალციხე გორი)** მომსახურების შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შემსყიდველი შემსრულებელს მომსახურეობის გაწევისთვის გადაუხდის **640 (ექვსას ორმოცი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით.

მუხლი 4. მომსახურების ადგილი და ვადა

“შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზიანი არ მიადგება “შემსყიდველს“.

4.2 მომსახურების შესყიდვა განხორციელდება **გორი - ახალციხე - გორი** ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

შემსრულებელი პასუხს არ აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 24 მაისიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტომდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

„შემსრულებელი“

ფ/პ ვეფხვია ლომიძე
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი: BAGAE22
ანგარიშის ნომერი: GE52BG0000000527003978
პ/ნ 59001022149

ვეფხვია ლომიძე

Vepkhvia Lomidze
Подписано цифровой подписью: Vepkhvia Lomidze
Дата: 2023.05.24 15:55:57 +04'00'

„ შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფესიული სახ. დრამატული თეატრი.
მისამართი: გორი ჭავჭავაძის ქ №24
ტელეფონი: 27-33-06
ს/კ: 217881424
სახელმწიფო ხაზინა

თეატრის დირექტორი
თამარ თოხაძე

Tamar Tokhadze 59001084835
Digitally signed by Tamar Tokhadze
Date: 2023.05.24 14:29:01

ხელშეკრულება N122, 24 მაისი 2023 წ.

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ს/კ

"შემსრულებელი" ფ/პ ვეფხვია ლომიძე (59001022149)

CPV კოდებზე გაწერილი დანახარჯი

N	cpv -კოდი	დასახელება	ზ/ე	რ-ბა	ე-ბა	ჯამი
1	63110000	ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, კერძოდ: მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გამართულ ეროვნული დრამატურგიის VII საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მიზნით ჩასატარებელი ლიტერატურული მონო სპექტაკლის - „მე მოვალ - სიზმარი" დეკორაციის ტრანსორტირება (მარშრუტი გორი ახალციხე გორი)				**640**
						640

თეატრის დირექტორი **თამარ თოხაძე**